

საქართველოს კონტროლის პალატის დელეგაციის სამუშაო ვიზიტი
ლატვიის ეროვნულ აუდიტორულ ოფისში

25 იანვარი, 2010 წ.

შედგა შეხვედრა თავჯდომარის მოადგილე დევი ვეფხვაძესა და ლატვიის პარლამენტის სახელმწიფო სახსრების ხარჯვის და რევიზიის კომისიის თავჯდომარე იანის ლადზინს შორის. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ეროვნული აუდიტორული ოფისის გენერალური აუდიტორი ინგუნა სუდრაბა. შეხვედრის დროს ლატვიელმა

პარლამენტარმა თავჯდომარის მოადგილეს გაუზიარა პარლამენტის კომისიისა და ეროვნული აუდიტორული ოფისის თანამშრომლობის გამოცდილება. აღინიშნა, რომ პარლამენტის კომისია კვირაში ერთხელ, ყოველ ოთხშაბათს, მართავს შეხვედრას ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან, სადაც იხილება აუდიტორული ოფისის ანგარიში და ასევე აუდიტის დასკვნა შემოწმებულ ობიექტებზე. აღნიშნულ შეხვედრებს ასევე ესწრებიან შემოწმებული ობიექტის ხელმძღვანელები, პარლამენტის შესაბამისი დარგობრივი კომისიის წევრები და აუდიტის ოფისის აუდიტორები. შეხვედრაზე დეტალურად ხდება აუდიტის დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი შედეგების განხილვა, აუდიტორებისა და შემოწმებული ობიექტის წარმომადგენლების არგუმენტების მოსმენა. არსებული ფორმატი უფრო ტრანსფარენტულს ხდის მთლიან პროცესს და ქვეყნის პარლამენტს აძლევს კარგ საშუალებას, რომ ბოლომდე იყოს ინფორმირებული სახელმწიფო სახსრების ხარჯვის შედეგებზე.

26 იანვარი, 2010 წ. ლატვიის ეროვნული აუდიტორული ოფისი

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის გამოცდილების გაზიარება

შეხვედრაზე განხილულ იქნა აუდიტის დაგეგმვის ეტაპის საკვანძო საკითხები, როგორცაა,

აუდიტის ობიექტის გარემოს შესწავლა, არსებითობის დადგენა და წინასწარი ანალიტიკური პროცედურების შესრულება. ზემოაღნიშნული ეტაპები განხილულ იქნა ლატვიის ეროვნული აუდიტორული ოფისის მიერ ჩატარებული კონკრეტული აუდიტის მაგალითებზე დაყრდნობით.

27 იანვარი, 2010 წ.

განხილულ იქნა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის დროს აუდიტის ობიექტში რისკების შეფასების პროცედურები, სხვა აუდიტორების მიერ შესრულებული სამუშაოს გამოყენება, აუდიტორული მტკიცებულებების გამოყენება, შიდა კონტროლის პროცედურების ტესტირება, აუდიტორული მიდგომა, აუდიტორული შერჩევის ზომის განსაზღვრა და აუდიტის გეგმისა და პროგრამის მომზადება. ზემოაღნიშნული ეტაპები განხილულ იქნა ლატვიის ეროვნული აუდიტის ოფისის მიერ ჩატარებული კონკრეტული აუდიტის მაგალითებზე დაყრდნობით.

28 იანვარი, 2010 წ.

განხილულ იქნა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის დროს აუდიტის ობიექტში, დამოუკიდებელი აუდიტორული პროცედურები და დამოუკიდებელი მტკიცებულებების შეგროვება, აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შეცდომების და უზუსტობების მოხსენება და აუდიტორული დასკვნის სახეების წარმოდგენა.

29 იანვარი, 2010 წ.

განხილულ იქნა ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის დროს, აუდიტის მართვის კომპიუტერული სისტემის TeamMate-ს აუდიტის პროცესში გამოყენების საკითხი. აღნიშნული პროცესი შედგება 5 ძირითადი მოდულისაგან, საიდანაც გარე აუდიტისას გამოიყენება მხოლოდ 4, კერძოდ: აუდიტის დაგეგმვა, აუდიტისთვის გამოყოფილი დროის რესურსების ბიუჯეტირება და კონტროლი, აუდიტის დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით დამუშავება და აუდიტის შედეგად ობიექტისათვის მიცემული რეკომენდაციის შესრულებაზე მონიტორინგი.